ვინაიდან ზეიანგური ქანგვის ერთ-ერთ ძირითად სუბსტრატს წარმოადგენს პოლიუჯერი ცხიმოვანი მჟავები, რომლებიც ფოსფოლიპიდების შემადგენლობაში შედიან, ჩვენ შემდგომი კვლევის მიზნად დავისახეთ ინდივიდუალური ფოსფოლიპიდების შემადგენლობის შესწავლა 37,5 გპც-ით დასხივების შემდეგ. ვირთაგვების ღვიძლის უჯრედების მალაზხარისხოვნად გაწმენდილი მიკროსომული მემბრანების ფოსფოლიპიდური შემადგენლობის ანალიზმა გვიჩვენა მათში ფოსფატიდილქოლინის (ფქ), სფინგომიელინის (სმ), ფოსფატიდილეთანოლამინის (ფე), ფოსფატიდილსერინის (ფს) და ფოსფატიდილინოზიტოლის (ფი) არსებობა. როგორც ცხრილიდან ჩანს (ცხრ.2), ფოსფოლიპიდების სპექტრის ცვლილება დასხივების შედეგად ატარებს მრავალმხრივ ხასიათს: სფინგომიელინის და ფოსფატიდილსერინის რაოდენობა მნიშვნელოვნად იზრდება როგორც ერთჯერადი, ასევე სამჯერადი დასხივების შემდეგ. ამავე დროს, ფოსფატიდილქოლინის რაოდენობა ნორმასთან შედარებით მცირდება ყველა საკვლევ სინჯში.

ფოსფოლიპიდური მაჩვენებლების აღნიშნულმა გადახრამ შეიძლება ხელი შეუწყოს მემბრანებთან დაკავშირებული ფერმენტების აქტივობის შემცირებას. მართლაც, ვირთაგვას ღვიძლის უჯრედების პლაზმური მემბრანის Na,K-ატფ-აზის აქტივობის დათრგუნვა კორელირებს ქოლესტერინის სიკარბესთან [8] და მემბრანიდან ფოსფატიდილინოზიტოლის გამოსვლასთან. ამასთან, ქოლესტერინის და სფინგომიელინის დაგროვებამ (იგი მემბრანის სპეციფიკური ლიპიდური კომპონენტია) შეიძლება გამოიწვიოს ლიპიდური შრის ცვლილება და მემბრანის კონფორმაციული გარდაქმნა.

მაშასადამე, ფოსფოლიპიდური კომპონენტების აღნიშნულმა რაოდენობრივმა და თვისობრივმა ცვლილებებმა შეიძლება მოგვეცეს წარმოდგენა სტრუქტურულ-ფუნქციონალურ დარღვევებზე, რომლებსაც ადგილი აქვს ზემადილი სიზშირის ელექტრომაგნიტური ველით დასხივების შედეგად.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

(შემოვიდა 17.10.1994)



ქრონიკული
გულ-სისხლძარღვოვანი

ვირთაგვას 37,5 გპც-ით დასხივების შედეგად ინდივიდუალური ფოსფორიპიდების
შემადგენლობის ცვლილება ღვიძლის უჯრედების მიკროსომებში

სუბსტრატი	ფოსფორიპიდების რაოდენობა %				
	ფოსფატიდილ- ეთანოლამინი (ფე)	ფოსფატიდილ- ქოლინი (ფქ)	სფინტომი- ელინი (სმ)	ფოსფატიდილ- ინოზიტოლი (ფი)	ფოსფატიდილ- სერინი (ფს)
ინტაქტური ღვიძლი (20)	19,5±4,2	38,9±5,6	31,3±7,2	6,1±0,8	3,2±0,1
ერთჯერადი დასხივება (10)	17,8±3,3	32,5±8,1	36,2±4,0	5,2±0,7	7,4±0,9
სამჯერადი დასხივება (10)	16,4±2,4	33,4±3,8	33,7±5,9	4,1±0,8	11,3±1,2

P.Z.Kotaria, M.A.Ebralidze, I.A.Gogilashvili, N.V.Talakvadze, G.Sh.Davitiaia

Исследование влияния сверхвысокочастотного излучения (СВЧ) на фосфолипидный состав и перекисное окисление липидов

Резюме

Авторами показано, что после однократного облучения СВЧ в дозе 37 ГГц наблюдается усиление ПОЛ в плазме, эритроцитах и в микросомальных мембранах печени, а также происходит нарушение фосфолипидного состава мембран. Этот эффект усиливается при трехкратном облучении животных. Высказывается предположение, что с увеличением экспозиции времени облучения усиливается вероятность свободнорадикального окисления, а отклонение фосфолипидного показателя может способствовать изменению активности мембранных ферментов, липидного слоя и конформационным сдвигам мембран.

BIOPHYSICS

R.Kotaria, M.Ebralidze, I.Gogilashvili, N.Talakvadze, G.Davitiaia

Investigation of the Effect of Superhigh Frequency Irradiation on the Phospholipid Composition and on the Lipid Peroxidation

Summary

The effect of superhigh frequency (37 Gc) on the lipid peroxidation in plasma and in erythrocytes as well as in rat liver microsomal membranes and on their phospholipid composition has been investigated. It has been shown that after single irradiation at the dose of 37 Gc an increase of lipid peroxidation is noted in plasma, in erythrocytes and in liver microsomal membranes and a disturbance of membrane phospholipid composition takes place. This effect is more enhanced after triple irradiation of animals. It has been suggested that the prolongation of irradiation exposure increases the probability of free-radical oxidation while the disturbance of phospholipid composition can induce changes of membrane enzyme activity as well as changes of lipid bilayer and membrane conformation.

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. P.L.Savant. Biophys. Biochem. Acta, 85, 1964, 82-89.
2. O.M.Lowry, N.G.Rosebaugh, A.L.Farr, R.G.Randell. J. Biol. Chem., 193, 1951, 265-275.
3. И.Д.Стальная, Т.Г.Гариншвили, Современные методы в биологии, М., 1977, 66-68.
4. М.Кейтс. Техника липидологии. М., 1975.
5. Г.В.Новицкая. Методическое руководство по тонкослойной хроматографии фосфолипидов. М., 1972.
6. И.А.Удольская. Введение в биометрию. Алма-Ата, 1976.
7. J.M.Cutterine, Med. Lab., 3, 1980, 267-273.
8. С.Т.Рыскулова, Т.А.Балахчи. Радиобиология, 24, 6, 1984, 650-651.

ნ.ბუცხრიკიძე, ა.წერეთელი, თ.ბუაიძე, ა.შკოლნი,
გ.კვესიტაძე (საქ. მეცნ.აკადემიის აკადემიკოსი)

შერჩეული საწარმოო საკვები არეები α -გალაქტოზიდაზას პროდუცენტ *Penicillium canescens* AMT-85 შტამისათვის

დღეისათვის ცნობილი 2000-მდე ფერმენტიდან ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მზარდ ყურადღებას იპყრობს α -გალაქტოზიდაზა. იგი ბუნებაში ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ფერმენტია, რომელიც აკატალიზებს α -გალაქტოზიდაზიანი კომპონენტების ჰიდროლიზს. გააჩნია დიდი პოტენციური გამოყენება როგორც ბიოტექნოლოგიაში, კერძოდ, შაქრის წარმოებაში [1], ისევე მედიცინაშიც [2]. α -გალაქტოზიდაზა გამოდგება, აგრეთვე, სხვადასხვა ნაერთთა სტრუქტურული ანალიზისა და მათი ბიოლოგიური როლის დადგენისათვის [3].

α -გალაქტოზიდაზას საწარმოო პრეპარატები შეიძლება გამოყოფილი იყოს როგორც მიკრომიცეტებიდან, ასევე ბაქტერიებიდან და საფუარებიდან [4]. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეცნარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის ბიოტექნოლოგიის ლაბორატორიაში, საწყისი (*Penicillium canescens* 20171) შტამიდან ულტრაიისფერი დასხივებით მიღებული მუტანტური შტამებიდან არჩეულ იქნა მაქსიმალური α -გალაქტოზიდაზური აქტივობის მქონე შტამი *Penicillium canescens* AMT-85 [5].

ჩვენი სამუშაოს მიზანს შეადგენდა ზემოაღნიშნული შტამის ბიოსინთეზისათვის ოპტიმალური და ეკონომიურად იაფი საწარმოო საკვები არის შერჩევა და აქტიური პრეპარატის მიღება.

Penicillium canescens AMT-85-ის კულტურას ვზრდიდით 750 მლ მოცულობის კოლბებში 28°C-ზე 72 და 96 სთ-ის განმავლობაში, 200-250 ბრ/წთ სიჩქარით სანჯღრევლაზე, 1,44 მგრ O₂/ლ სთ აერაციით.

α -გალაქტოზიდაზური აქტივობის განსაზღვრისათვის სუბსტრატად ვიყენებდით პარა-ნიტროფენილ- α -D-გალაქტოპირანოზიდს. სარეაქციო არე შეიცავდა 0,1 მლ სუბსტრატს (0,004M), 0,3 მლ აცეტატურ ბუფერს (0,05M pH 4,3) და 0,1 მლ ფერმენტულ ხსნარს. რეაქცია მიმდინარეობდა 37°C-ზე 10 წთ-ის განმავლობაში და ვწყვეტდით 3 მლ Na₂CO₃-ის (1M) ხსნარის დამატებით. რეაქციის შედეგად გამოთავისუფლებული პარა-ნიტროფენოლის რაოდენობას ვსაზღვრავდით კალორიმეტრულად 405 ნმ-ზე.

β -გალაქტოზიდაზურ აქტივობას ვსაზღვრავდით კუბისა და ლარდის მეთოდით [6], სუბსტრატად ვიყენებდით ორთო-ნიტროფენილ- β -D-გალაქტოპირანოზიდს. სარეაქციო არე შედგებოდა 0,1 მლ (0,01 M) სუბსტრატის, 0,7 მლ 0,05 M აცეტატური ბუფერისა (pH 4,3) და 0,2 მლ ფერმენტული ხსნარისაგან. რეაქცია მიმდინარეობდა 15 წთ-ის განმავლობაში 30°C-ზე და ვწყვეტდით 1 მლ Na₂CO₃-ის (1M) ხსნარის დამატებით. გამოთავისუფლებულ ნიტროფენოლს ვზომავდით 420 ნმ-ზე.



ინვერტაზულ აქტივობას ვსაზღვრავდით სომოჯი-ნელსონის მოდიფიცირებული მეთოდით [7]. სარეაქციო არე შედგებოდა 0,8 მლ სუბსტრატის საქაროზისა (0,25%) და ფერმენტული ხსნარისაგან (0,2 მლ). რეაქცია მიმდინარეობდა 15 წთ-ის განმავლობაში 30°C-ზე და ვწყვეტდით სომოჯი-ნელსონის რეაქტივების დამატების მეთოდის თანახმად. გამოთავისუფლებულ შაქრებს ვზომავდით 595 ნმ-ზე [8]. ცილის კონცენტრაციას ვსაზღვრავდით ლოურის მეთოდით [9]. ფერმენტის აქტივობის ერთეულად ვიღებდით მის იმ რაოდენობას, რომელიც აკატალიზებს 1 მკმ სუბსტრატის გარდაქმნას 1 წთ-ში მოცემულ პირობებში.

α-გალაქტოზიდაზას სინთეზისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნახშირბადის წყაროს. ლიტერატურიდან ცნობილია, რომ მაქსიმალურ აქტივობას ზემოთ აღნიშნული შტამი იძლეოდა მასინ, როცა ნახშირბადის წყაროდ ვიყენებდით სოიის ფხვნილს [10]. შემდგომ მოდიფიცირებულ იქნა საკვები არე ნახშირბადის დამატებითი წყაროების შეტანით, რომელთა შორისაც შეირჩა გალაქტოზა [11]. ჩვენს ცდებში სოია შევცვალეთ დამუშავებული წალბით და ჩაის ნარჩენებით, მელასით, ჰარხლის გამონაწურით და ციტრუსების ნარჩენებით. საკვებ არეში სოიის მსგავსად მისი შემცველებიც შეგვქონდა 3%-ის ოდენობით. ცდებში გავსინჯეთ მულტიპლური შტამები, რომლებიც იყვნენ N49-β-გალაქტოზიდაზას და N73-ინვერტაზას პროდუცენტები. კონტროლად ავიღეთ N70-α-გალაქტოზიდაზას პროდუცენტი შტამი [5].

ცხრილი 1

ნახშირბადის წყაროების ზეგავლენა *P. canescens* AMT-85-ის α-გალაქტოზიდაზასთვის

N	საწარმოო საკვები არეები	α-გალაქტოზიდაზას აქტივობა ერთ/მლ	ცილა ვიტამინების კომპლექსი %	pH	ბიომასის წონა გ/100 მლ
1	სოია (3 დღე) N70	3,0	-	5,4	1,7
2	სოია (4 დღე) N70	2,8	-	4,6	1,6
3	სოია (3 დღე) N49	0,8	-	5,6	1,8
4	სოია (4 დღე) N49	1,0	-	5,3	1,7
5	წალამი (3 დღე) N49	2,8	5,0	6,1	3,8
6	წალამი (4 დღე) N49	3,4	5,0	5,8	4,2
7	ჩაი (3 დღე) N49	1,8	5,0	5,6	3,1
8	ჩაი (4 დღე) N49	2,8	5,0	5,9	3,45
9	სოია (3 დღე) N73	0,7	-	5,8	1,9
10	სოია (4 დღე) N73	1,2	-	5,62	1,8
11	წალამი (3 დღე) N73	1,0	5,0	6,0	3,95
12	წალამი (4 დღე) N73	1,6	5,0	5,6	4,1
13	ჩაი (3 დღე) N73	0,6	5,0	5,8	3,3
14	ჩაი (4 დღე) N73	1,0	5,0	6,2	3,45

როგორც ცხრილიდან ჩანს, წალამსა და ჩაიზე გაზრდილი N49 და N73 შტამები იძლევიან იმავე ან ცოტა მაღალ აქტივობას კონტროლთან შედარებით. მოსალოდნელი იყო აქტივობის მკვეთრი მატება N70 შტამზე, ამიტომ მუშაობა განვაგრძეთ სწორედ მასზე. ამ ცდების შედეგები წარმოდგენილია 2 და 3 ცხრილებში, საიდანაც ჩანს, რომ კონტროლად კვლავ აღებულია საკვები არე, რომლის ძირითად კომპონენტს შეადგენს სოიის ფხვნილი, ხოლო დანარჩენებში სოია შეცვლილია წარმოების ნარჩენებით და ცილა-ვიტამინოვანი კომპლექსით. ცხრილებში მოყვანილი კომპონენტების ასეთი თანაფარდობა ცნობილია ლიტერატურიდან [12].



როგორც ქვემოთ მოყვანილი ცხრილებიდან ჩანს, α -გალაქტოზიდაზური აქტივობის მაღალი მაჩვენებლები საშუალებას გვაძლევს სოიის ფხვნილი შევცვალოთ წალმით და ჩაის ნარჩენით, ამიტომ შემდგომი მუშაობა გავაგრძელებთ წალმიან საკვებ არეზე.

ცხრილი 2

ნახშირბადის წყაროების ზეგავლენა P.canescens AMT-85-ის α -გალაქტოზიდაზასთვის

ბ	საწარმოო საკვები- არეები N70 შტამისათვის (72 სთ)	α -გალაქტოზიდაზას აქტივობა ერთ/მლ	ცილა- ვიტამინების კომპლექსი %	pH	ბიომასის წონა გ/100 მლ
1	სოია	3,0	-	5,4	1,7
2	წალამი	4,8	5,0	6,3	4,0
3	ჩაი	3,2	5,0	5,5	3,0
4	მელასა	0,32	5,0	4,3	3,5
5	ქარხლის გამონაწერი	0,8	5,0	4,8	2,8
6	ციტრუსები	0,85	5,0	4,1	3,0

ცხრილი 3

ნახშირბადის წყაროების ზეგავლენა P.canescens AMI-85-ის α -გალაქტოზიდაზასთვის

ბ	საწარმოო საკვები არეები N70 შტამისათვის (96 სთ)	α -გალაქტოზიდაზას აქტივობა ერთ/მლ	ცილა- ვიტამინების კომპლექსი %	pH	ბიომასის წონა გ/100 მლ
1	სოია	2,8	-	4,6	1,6
2	წალამი	6,0	5,0	5,9	4,5
3	ჩაის ნარჩენები	3,9	5,0	6,0	3,5
4	მელასა	0,67	5,0	4,9	4,0
5	ქარხლის გამონაწერი	1,4	5,0	5,7	2,5
6	ციტრუსების ნარჩენები	2,2	5,0	4,25	3,0

ჩვენ ვცადეთ, აგრეთვე, ნახშირბადის ერთადერთ წყაროდ საკვებ არეში შეგვეტანა მხოლოდ წალამი, ჩაის ნარჩენი, მელასა, ციტრუსების ნარჩენები და ქარხლის გამონაწერი, მაგრამ ამ შემთხვევაში საერთოდ არ გვქონდა ნაზრდი. ალბათ ეს იმით აიხსნება, რომ სოიის მსგავსად ცილებით მდიდარია ცილა-ვიტამინოვანი კომპლექსი (C33), ხოლო მიკროორგანიზმებისათვის ცილები კი ზრდის აუცილებელ პირობას შეადგენს.

ფერმენტული პრეპარატის გამოსაყოფად კულტურალური სითხიდან ჩვენ ვცადეთ გამოგვეყენებინა ლიტერატურიდან ცნობილი რამდენიმე მეთოდი და შეგვეჩია ყველაზე ოპტიმალური, ვცადეთ გამოვქვა $(\text{NH}_4)_2\text{SO}_4$ -ის 20, 40, 60%-იანი ხსნარით, MnCl_2 -ით, მაგრამ ორივე შემთხვევაში გამოსავალი იყო უმნიშვნელო, ამიტომ არჩევანი შევაჩერეთ ეთილის სპირტზე. მეთოდის გათვალისწინებით ვცადეთ მართო სპირტის გამოყენება, რითაც მივიღეთ სასურველი შედეგი. დალექვას ვაწარმოებდით 1, 2 და 4 მოცულობა სპირტით. აღმოჩნდა, რომ ამ მოცულობებით დალექვისას მიღებული იქნა ერთნაირი შედეგები როგორც აქტივობის, ასევე გაწმენდის ხარისხისა. ამიტომ შემდგომში გამოვქვას ვაწარმოებდით ერთი მოცულობა სპირტის დამატებით. ცდების შედეგები მოცემულია 4 ცხრილში.

α-გალაქტოზიდაზას ნაწილობრივ გაწმენდილი პრეპარატის დახასიათება

N	სპირტის და კულტურალური სითხის მოცულობითი თანაფარდობა	α-გალაქტოზიდაზური საერთო აქტივობა ერთ/მლ	საერთო ცილის რაოდენობა მგ	ხვედრითი აქტივობა მგ/მლ	გაწმენდის ხარისხი	საერთო გამოსავალი აქტივობის %
1	კულტურალური სითხე	230,0	115	2	1	100
2	1:1	218,5	36,4	6	3	95
3	2:1	218,5	536,4	6	3	95
4	4:1	213,9	42,7	5	2,5	93

ამგვარად, ჩატარებული სამუშაოს შედეგად მოდიფიცირებული და გაიფხვრული იქნა α-გალაქტოზიდაზას სინთეზისათვის საჭირო საკვები არის შემადგენლობა. შევქმელით მიგველო კულტურალურ სითხეში α-გალაქტოზიდაზური აქტივობის მაქსიმალური 100%-ით გაზრდილი მნიშვნელობა, თანამდევნი აქტივობების β-გალაქტოზიდაზური 30 ერთ/მლ ინვერტაზული 2,6 ერთ/მლ შედარებით მცირე რაოდენობებით, ვიდრე საკონტროლო ცდაში იყო (50 ერთ/მლ და 27 ერთ/მლ შესაბამისად).

ყოველივე აქედან გამომდინარე, საკვები პროდუქტი სოია შეიძლება შეცვლილი იქნეს უფრო იაფი ნარჩენებით - წალმითა და ჩაის ნარჩენით, ფერმენტული პრეპარატის მისაღებად გამოყენებული იქნეს ერთი მოცულობა სპირტი, რის შედეგადაც მიიღება 3-ჯერ გაწმენდილი ფერმენტული პრეპარატი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
 ს.ღურამიშვილის სახ. მკვლევართა ბიოქიმიის
 ინსტიტუტი

(შემოვიღა 25.11.1993)

БИОХИМИЯ

Н.Г.Бущрикидзе, А.К.Церетели, Т.Ш.Буачидзе, А.Т.Школьный,
 Г.И.Квеситадзе (академик АН Грузии)

Подобранные производственные питательные среды для штамма *Penicillium canescens* АМТ-85 продуцента

α-ГАЛАКТОЗИДАЗЫ

Резюме

Для штамма микромицета *Penicillium canescens* АМТ-85 подобрана экономически дешевая, дающая максимальную α-галактозидазную активность, питательная среда.

Были изучены различные источники углерода, в основном отходы производства, обрезки виноградной лозы, отходы чая и цитрусов, свекловичный жом, меласса. Изучено выделение ферментного препарата α-галактозидазы различными объемами спирта, осаждением сульфата аммония и $MnCl_2$.

Самый активный препарат 6 ед/мл α -галактозидазной активности был получен тогда, когда в качестве источника углерода были использованы обрезки виноградной лозы и осаждение проводили одним объемом этилового спирта. В полученном препарате были определены активности β -галактозидазы, инвертазы.

BIOCHEMISTRY

N. Butskhrikidze, A. Tsereteli, T. Buachidze, A. Shkolni, G. Kvesitadze

The Chosen Industrial Cultivated Medium For α -Galactosidase of Pen. Canescens AMT-85

Summary

For the micromycete *Penicillium canescens* AMT-85 strain has been chosen economically cheap growing medium providing the maximum β -galactosidase activity. Various carbon sources, mainly vine trimmings, tea and citrus industrial wastes, sugar-beat juice and melasa have been studied. The separation of α -galactosidase enzyme preparation by the different volumes of alcohol, ammonium sulphate and by $MnCl_2$ precipitation were examined too.

The most active α -galactosidase preparation - 6 m/ml has been obtained while using vine trimmings as carbon source and precipitation has been carried out by one volume of ethyl alcohol.

In obtained preparations β -galactosidase and invertase activities has been determined.

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. П.Л.Силин. Технология сахара. М., 74, 1967.
2. D.L.Jonson, R.J.Desnick. Biochem. et Biophys. Acta, **538**, 32, 1978, 195.
3. О.М.Запрометова, А.С.Абдыгаппаров, И.В.Улезло, А.М.Безбородов. Биохимия, **50**, 6, 1985, 946-954.
4. И.В.Улезло, И.В.Трошина, О.М.Запрометова, А.М.Безбородов. Микробиол., **60**, вып. 5, 1991, 847-852.
5. თრადიანი. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი, 1991, 193.
6. S.G.Kuby, N.A.Lardy. J.Amer. Chem. Soc., **75**, 2, 1933, 890-896.
7. М.М.Гомартели, А.К.Куликова, А.К.Церетели и др. Прикл. биол. и микробиол., **24**, вып. I, 1988, 20-24.
8. M.Somoggi. J. Biol. Chem., **195**, 1, 1952, 19-23.
9. O.N.Lowry, N.J.Rosenbrough, F.L.Farr, R.J.Randall. J.Biol. Chem., V 1953, 1, 1951, 265-275.
10. Т.Ш.Радиани, А.Т.Школьный, М.М.Гомартели, А.Т.Кушашвили, А.К.Церетели, Т.И.Билай, Г.И.Квеситадзе. Микробиол. ж., Киев, **52**, 2, 1990, 57-61.
11. თრადიანი, ლ.ჭუმბაშვილი, მ.გომართელი. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოამბე, **137**, 3, 1990, 609-611.
12. Л.В.Югова. Автореферат канд. дисс. М., 1984.

ბ.წერეთელი, შ.უგრეხელიძე, ლ.ბოკორიძე

ცინებისა და კარბენდაზიმის მეტაბოლიტები ალკოჰოლური დუღილის პროდუქტებში

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ.ჩივაძემ 31.01.1994)

ფუნგიციდები – ცინები და კარბენდაზიმი ფართოდ გამოიყენება ვაზის დაავადებათა საწინააღმდეგოდ [1]. ვეგეტაციის პერიოდში ნაყოფი 5-6-ჯერ მუშავდება ამ პრეპარატებით, რის შედეგადაც ცინებისა და კარბენდაზიმის ლიპოფილური მოლეკულები აღსორბირდებიან რა მტევნის მარცვლებისა და კლერტის ცვილის ზედაპირზე, გროვდებიან კუტიკულაში. ყურძნის დაწურვისას ფუნგიციდები გადადიან ყურძნის წვეწვში და ალკოჰოლური დუღილის პროცესშიც მონაწილეობენ. ჩვენ შევისწავლეთ ცინებისა და კარბენდაზიმის გარდაქმნა ალკოჰოლური დუღილის პროცესში.

ცინებისათვის ავიღეთ ორი გიშის ყურძენი – რქაწითელი და საფერავი. პესტიციდების გარდაქმნას ვსწავლობდით ორ ტექნოლოგიურ სქემაში – ვეროპულსა და კახურიში. დაქულებილი ყურძნის მასაში შეგვექონდა რადიოაქტიური ნახშირბადით ნიშანდებული ფუნგიციდის მიკროსუსპენზია: 2 კგ ყურძენზე ვიღებდით 33 მგ ცინებს (C^{14} -მეთილენში), რომლის ჯამური რადიოაქტივობა შეადგენდა 13 მბკ ან 33 მგ $2C^{14}$ -კარბენდაზიმს, რომლის ჯამური რადიოაქტივობა შეადგენდა 1,2 მბკ. დუღილი მიმდინარეობდა $20-23^{\circ}C$ -ის პირობებში 14 დღე-ღამის განმავლობაში. გამოყოფილი ნახშირორქანგი მთლიანად ფიქსირდებოდა. დუღილის დამთავრების შემდეგ ვსაზღვრავდით ღვინის ლექისა და დუღილის დროს გამოყოფილი ნახშირორქანგის რადიოაქტივობას. ღვინოში არსებული პესტიციდებისა და მათი გარდაქმნის პროდუქტების იდენტიფიკაცია ხდებოდა შერეული სინჯის მეთოდით და ქრომატოგრაფიული მახასიათებლების [2] მიხედვით, ხოლო მათი რაოდენობრივი განსაზღვრა – ავტორადიოგრაფიის მეთოდით [3]. რადიოაქტივობას ვზომავდით თხევად სცინტილაციურ მთვლელზე Rack Beta II ბრეის ჰიდროფილურ სისტემაში [4], ათვლის ეფექტურობა 96%.

დუღილის დამთავრების შემდეგ ღვინის, ლექისა და დუღილის შედეგად გამოყოფილი ნახშირორქანგის რადიოაქტივობის განსაზღვრა გვაძლევს ამ სამ ფაზაში ფუნგიციდებისა და მათი მეტაბოლიტების განაწილების საერთო სურათს (ცხრილი 1). უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ყველა ცდაში დუღილის შედეგად გამოყოფილი ნახშირორქანგის რადიოაქტივობა ძალზე დაბალია ($>0,1-0,2\%$). თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ დუღილის პროცესში პესტიციდის მოლეკულის ნახშირბადატომის ნახშირორქანგამდე დაქანგვა მხოლოდ მისი მიკრობიოლოგიური გარდაქმნის შედეგადაა შესაძლებელი, უნდა დავასკვნათ, რომ საფუერები ცინებსა და კარბენდაზიმს მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობით შეითვისებენ და გარდაქმნიან, რაც, ალბათ, ამ ფუნგიციდების მაღალი ტოქსიკურობითაა განპირობებული. აღსანიშნავია ისიც, რომ ცინებისა და

კარბენდაზიმის მაღალ მდგრადობაზე მიკრობიოლოგიური გარდაქმნების შემცირების მიუთითებენ რიგი გამოკვლევები [5].

პესტიციდებისა და მათი მეტაბოლიტების ძირითადი მასა განაწილებულია ღვინოსა და ლექში (ცხრილი 1). როგორც ცნობილია, მკვე არეში ცინები საკმაოდ სწრაფად გარდაიქმნება და წარმოქმნის რამდენიმე პროდუქტს: ეთილენ-თიოშარდოვანას, ეთილენთიურამზონოსულფიდს, ეთილენთიურამდისულფიდს, ეთილენდიაზინსა და გოგირდნაზირბადს [5]. რაც შეეხება კარბენდაზიმს, მისი გარდაქმნის პროდუქტებიდან ყველაზე დამახასიათებელია 2-ამინობენზიმიდაზოლი [5]. მოსალოდნელი იყო ამ პროდუქტების წარმოქმნა ალკოჰოლური დუღილის პროცესისა და ღვინის შემდგომი დაყოვნების პირობებში.

C^{14} -ცინებით დამუშავებული ყურძნიდან მიღებული ღვინის ნიმუშებიდან გამოყოფილ და იდენტიფიცირებულ იქნა C^{14} -ცინები, C^{14} -ეთილენთიოშარდოვანა, C^{14} -ეთილენთიურამზონოსულფიდი, C^{14} -ეთილენთიურამდისულფიდი და C^{14} -ეთილენდიაზინი, ხოლო $2C^{14}$ -კარბენდაზიმით დამუშავებული ყურძნიდან მიღებული ღვინის ნიმუშებიდან - $2C^{14}$ -კარბენდაზიმი და $2C^{14}$ -ამინობენზიმიდაზოლი (ცხრილი 2,3).

ცხრილი 1

პესტიციდების რადიოაქტიური ნაზირბადის განაწილება ალკოჰოლური დუღილის პროდუქტებში

დასადუღებელი მასა	რადიოაქტიუობა, %		
	ღვინო	ლექი	CO ₂
საფერავი+ C^{14} -ცინები	65,7	34,2	0,1
საფერავი+ $2C^{14}$ -კარბენ- დაზიმი	19,0	80,9	0,1
რქაწითელი+ C^{14} -ცინები (დადუღება ჭკაპზე)	4,3	95,6	>0,1
რქაწითელი+ $2C^{14}$ -კარ- ბენდაზიმი (დადუღება ჭკაპზე)	1,2	98,7	>0,1
რქაწითელი+ C^{14} -ცინები (დადუღება უქაქოდ)	54,6	45,3	>0,1
რქაწითელი+ $2C^{14}$ -კარ- ბენდაზიმი (დადუღება უქაქოდ)	71,1	28,7	0,2

აღსანიშნავია, რომ ღვინოში დარჩენილი პესტიციდების ორი მესამედი ნაწილი (და მეტიც) მათი გარდაქმნის პროდუქტებითაა წარმოდგენილი. საფერავში ცინების გარდაქმნის ძირითადი პროდუქტის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა (ცხრილი 2). ეს ნაერთი, რომელიც საკმაოდ დაბალი ქრომატოგრაფიული ძვრადობით ხასიათდება ($R_f=0,3$ ბუთანოლი - ძმარმკვა - წყალი 4:1:5), მცირე რაოდენობით წარმოიქმნება რქაწითელში. ამ უკანასკნელში ცინების გარდაქმნის ძირითად პროდუქტს ეთილენთიურამდისულფიდი წარმოადგენს. ღვინის ყველა ნიმუშში კარბენდაზიმის დიდი ნაწილი 2-ამინობენზიმიდაზოლს წარმოქმნის.

ტექნოლოგიური თვალსაზრისით უპირველად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჭკაპზე დადუღებულ რქაწითელში, უქაქოდ დადუღებულ ღვინოსთან შედარებით

მნიშვნელოვნად დაბალია რადიოაქტიური ნახშირბადის ჩართვა. ასე მაგალითად C^{14} -ცინებით დამუშავებული რქაწითლის უქაქოდ დადუღების შემთხვევაში ღვინოში C^{14} -ის ჩართვა 54,6% შეადგენს, ხოლო $2C^{14}$ -კარბენდაზიმით დამუშავებული რქაწითლის უქაქოდ დადუღებისას ღვინოში C^{14} -ის 71,1% ჩაერთვის. ქაქაზე დადუღებული რქაწითლისათვის ეს მონაცემები შესაბამისად 4,3% და 1,2% შეადგენს (ცხრილი 1). საპირისპირო მდგომარეობაა აღნიშნული ღვინოების ლექის შემთხვევაში: ქაქაზე დადუღებისას ლექში პესტიციდების მოლეკულათა ნახშირბადის გაცილებით მეტი რაოდენობა გადადის, ვიდრე უქაქოდ დადუღების დროს (ცხრ. 1,2,3).

ცხრილი 2
 C^{14} -ცინები და მისი გარდაქმნის პროდუქტები ღვინოში (%)

ღვინო	ცინები	ეთილენითი შარღოვანა	ეთილენითი- რამონო- სულფიდი	ეთილენითი- რამდი- სულფიდი	ეთილენ- დიამინი	x
საფერავი	32	3	20	10	4	31
რქაწითელი (ქაქაზე)	20	20	10	34	12	4
რქაწითელი (უქაქოდ)	15	10	19	39	9	8

ცხრილი 3
 C^{14} -კარბენდაზიმი და მისი გარდაქმნის პროდუქტები ღვინოში (%)

ღვინო	კარბენდაზიმი	2-ამინობენზიმიდაზოლი
საფერავი	25	75
რქაწითელი (ქაქაზე)	33	67
რქაწითელი (უქაქოდ)	34	66

ცხადია, რომ ზემოხსენებული კანონზომიერების უმთავრესი გამომწვევი მიზეზი კატეხინები და კატეხინური ტანიდებია, რომლებიც ქაქაზე დადუღების შემთხვევაში დიდი რაოდენობით გადადიან ღვინოში. ტანიდების ქარბი რაოდენობა უფრო სრულად დალეკავს ღვინის ცილებს და, შესაბამისად, მათი ურთიერთქმედების პროდუქტებს პესტიციდებთან. მეტად რეალურად გვეჩვენება ლექში C^{14} -ის ჩართვის ის გზა, რომელიც ითვალისწინებს, ერთი მხრივ, პესტიციდებისა და მათი გარდაქმნის პროდუქტების, ხოლო მეორე მხრივ, ღვინის ცილების თანადაქანგვას კატეხინების ქანგვითი თანაპოლიმერიზაციის დროს წარმოქმნილი ქინონებით [6]. ასეთი თანადაქანგვისას ცილის მოლეკულებს კოვალენტურად უქავშირდებიან პესტიციდების გარდაქმნის პროდუქტები [7]. ვფიქრობთ, რომ კატეხინების უნარი შეამციროს ღვინოში პესტიციდებისა და მათი გარდაქმნის პროდუქტების შეცულობა, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის მიღების თვალსაზრისით გარკვეულ პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენს.

საქართველოს აგარარული უნივერსიტეტი

შემოვიდა 4.02.1994

В.С.Церетели, Ш.Д.Угрехелидзе, Л.Д.Бочоридзе
**Метаболиты цинеба и карбендазима в продуктах
 алкогольного брожения**

Резюме

Изучено превращение фунгицидов — цинеба и карбендазима в процессе алкогольного брожения виноградного сока сортов „Ркацители“ и „Саперави“. Выявлены закономерности включения фунгицидных остатков или их метаболитов в комплексах танин-белкового взаимодействия в зависимости от технологии приготовления вин. Высказано соображение о механизме соокисления белков виноградных вин и хинонов, образующихся в результате окислительной сополимеризации катехинов.

BIOCHEMISTRY

V. Tsereteli, Sh. Ugrekheldize, L. Bochoridze

**The Metabolites of Zineb and Carbendazime in Alcoholic
 Fermentation Products**

Summary

The transformation of ^{14}C -zineb and ^{14}C -carbendazime by alcoholic fermentation of two varieties of grapes - Sapheravi (red) and Rqazitheli (white) - has been studied. The two methods of fermentation has been applied. It has been found that by alcoholic fermentation the oxidation of carbon atoms of fungicide molecules to CO_2 occurs only in negligible amounts (0.1-0.2 p.c. of total radioactivity). This fact shows that the microbiological degradation does not signify in transformation of these fungicides by alcoholic fermentation. The bulk of the labelled carbon of fungicides distribute among wine and precipitate. And here such regularity has been observed: if the fermentation of the must is fulfilled in presence of pulp, the 95-98 per cent of labelled carbon concentrate in precipitate and only its small amount is left in wine. If the fermentation is fulfilled in absence of pulp, the amount of ^{14}C -decreases in precipitate and increases in wine. It has been suggested that the fungicide-protein complexes of wine after interaction with tannin fall out as a precipitate. The decomposition products of zineb (ethylthiourea, ethylenediamine, ethylthiurammonosulphide and ethylthiuramdisulphide) and of carbendazimes (2-aminobenzimidazole) has been separated from wine.

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. Н.Н.Мельников, К.В.Новожилов, С.Р.Белан, Т.И.Пылова. Справочник по пестицидам. М., 1985.
2. G. Czeglédi-Janko. J. Chromatogr., 31, 1967, 89-95.
3. Т.Робертс. Радиохроматография. М., 1981, 89-95.
4. G.A.Bray. Anal. Biochem., 1, 1960, 279.
5. Н.Н.Мельников, А.И.Волков, С.А.Короткова. Пестициды и окружающая среда. М., 1977, 119-125, 185-190.
6. D.E.Hathway, J.W.T.Seakins. Nature, 176, 1955, 218.
7. Р.Витфильд, В.Весли. В кн.: Химические реакции полимеров. т.1. М., 1967, 327-451.

Н.Ж. Зарнадзе, К.В.Спиридонова, В.Г.Соловьян

Получение препаратов ДНК из тканей актинидии, пригодных для рестрикции

(Представлено академиком Т.Г.Беридзе 8.11.1993)

Рядом исследователей установлено, что растения-регенеранты, полученные из культивируемых клеток и тканей, фенотипически отличаются от исходных растений. Это явление, названное самоклональной вариабельностью [1], вероятно, связано с происходящими геномными изменениями [2-5].

Исследование геномных перестроек на уровне последовательностей ДНК позволяет выяснить механизм и природу самоклональной изменчивости. В связи с этим особую важность приобретает получение очищенных препаратов растительных ДНК, пригодных для молекулярно-биологического анализа. В ряде случаев, однако, это сопряжено со значительными трудностями из-за наличия в тканях растений фенольных соединений и полисахаридов, которые затрудняют дальнейший анализ выделенной ДНК. Это обстоятельство было отмечено рядом исследователей, ставивших целью получить очищенные препараты ДНК из растительных тканей различных источников [6-9].

Цель работы заключалась в получении пригодных для рестрикции суммарной ДНК актинидий (*Actinidaceae*). Для решения этой задачи было проведено опробование ряда современных методик [10-14], которое не дало, для осуществления наших целей, положительного результата в связи с наличием в клетках актинидий высокого содержания полисахаридов и фенольных соединений.

В настоящем исследовании мы проводили процедуру выделения и очистки препаратов ДНК актинидии, пригодных для рестрикции.

Материалом исследования служили самоклоны-регенеранты двух видов актинидий: *Actinidia deliciosa* и *A.chinensis*.

Ткани месячных растений (молодые участки стеблей с листьями) растирали в жидком азоте до получения гомогенной пудры и добавляли трехкратный избыток лизирующего буфера, содержащего 5 м мочевины, 0,1 м Трис-НСl (рН 8,0), 0,1 м ЭДТА, 0,5 NaCl. После перемешивания к тканям добавляли ДСН и водонасыщенный фенол до конечной концентрации 2% и 5% соответственно. ДНК экстрагировали в течение часа при комнатной температуре. Депротеинизацию проводили дважды - смесью фенол-хлороформ-изоамиловый спирт (25:24:1) и однократно - хлороформ-изоамиловый спирт (24:1).

ДНК осаждали двумя объемами спирта в присутствии 0,3 м Натрета (рН 5,6), осадок растворяли в ТЕ буфере (10 мМ Трис-НСl (рН 8,0), 1 мМ ЭДТА, добавляли хлористый цезий до конечной концентрации 4,5 м и центрифугировали при 40000 об/мин в течение 48 часов в роторе РКС-50-Т в присутствии 0,1 м/мл бромистого этидия.

Описанный способ выделения ДНК обеспечивал ее необходимую чистоту, однако оказался нецелесообразным в силу продолжительности, трудоемкости и дороговизны. Поэтому было решено разработать методику получения препаратов суммарных ДНК более быстрым и менее трудоемким способом.



рис. Рестрикционный анализ препаратов суммарных ДНК *A. chinensis*: 1- интактная ДНК; 2,3 - ДНК, рестрицированная Hind III; 4- Alu I

Полученный грубый осадок ДНК растворяли в ТЕ буфере и добавляли в равных объемах 2,5 м K_2HPO_4 (pH 8,0) и 2-метоксиэтанола для удаления полисахаридов. Смесь тщательно перемешивали и центрифугировали при $2,5 \cdot 10^3 g$ в течение 20-25 минут. Выпавший в интерфазе осадок ДНК промывали 70%-ным этанолом, высушивали на воздухе и растворяли в ТЕ буфере. К раствору ДНК добавляли Na-фосфатный буфер (pH 6,8) до конечной концентрации 0,04 м и пропускали через колонку с гидроксипатитом (B10-Gel, НТР, США), уравновешенную тем же буфером. Колонку промывали несколькими объемами 0,12 м Na-фосфатного буфера (pH 6,8), ДНК смывали 0,4 м Na-фосфатным буфером (pH 6,8).

Фракции, содержащие ДНК, собирали, диализовали против $0,1 \times TE$ буфера и осаждали спиртом в присутствии 0,3 м Na-ацетата. Осадок ДНК центрифугировали в течение 15 мин при 12000 об/мин, промывали 70% этанолом, высушивали, растворяли в ТЕ буфере и использовали для дальнейшего анализа.

Гидролиз ДНК рестрикционными эндонуклеазами проводили при $37^\circ C$ на протяжении 4-5 часов в соответствующих буферах, приведенных в сертификатах.

Гидролизованную ДНК разделяли с помощью горизонтального гель-электрофореза в 1% агарозном геле в $1 \times TAE$ буфере при градиенте напряжения 2 в/см в течение 12 часов [15].

Как следует из данных, представленных на рис., полученные описанным способом ДНК являются высокомолекулярными, гомогенными и пригодными для рестрикции.

Научно-производственное объединение по чаю, субтропическим культурам и чайной промышленности
Озургети-Анасеули

Институт молекулярной биологии и генетики АН Украины

(Поступило 13.12.1993)

ნ.ზარნაძე, კ.სპირიდონოვა, ვ.სოლოვიანი

რესტრიქციკრებადი დნმ-ს გამოყოფა აქტინიდიის მცენარის ქსოვილიდან რეზიუმე

შემუშავებულია გენომური დნმ-ს გამოყოფის მეთოდი აქტინიდიის მცენარიდან. ამ მეთოდით გამოყოფილი დნმ ექვემდებარება რესტრიქციული ენდონუკლეაზების მოქმედებას.

გამოყოფის პროცედურა მოიცავს დნმ ექსტრაქციას ანიონური დეტერგენტით 5M შარდოვანას თანაობით. პოლისაქარიდების დალექვა მიმდინარეობს; 2-მეტაქსიეთანოლით. დნმ-ს პრეპარატის საბოლოო გაწმენდა ხდება ქრომატოგრაფიებით ჰიდროქსიპატიტის სვეტზე, რის შედეგადაც პრეპარატი თავისუფლდება რესტრიქციული ფერმენტების ინჰიბიტორებისაგან.

BIOCHEMISTRY

N.Zarnadze, C.Spiridonova, B.Solovian

The Method for Purification of Genomic DNA from Actinidia Plant Tissues

Summary

The method has been developed to obtain the genomic DNA suitable for restriction endonuclease analysis from Actinidia plants.

The procedure involves extraction of DNA with anionic detergents in the presence of 5 M urea. The precipitation of polysaccharides with methoxyethanol is followed by DNA purification by hydroxylapatite column chromatography.

The method effectively removed the inhibitory effects of various plant contaminations on restriction enzyme reactions.

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. P.J.Larkin, W.R.Scowcroft. Theor. Appl. Genet., **60**, 1981.
2. M.W.Bayliss. Int. Rev. Citol, 1980, Suppl, 11-A, 113-144.
3. J.Landsmann, H.Uhrig. Theor. Appl. Genet. **71**, 1985, 500-505.
4. N.L.V.Lapitan, R.G.Sears, B.S.Gill. Theor. Appl. Genet. **75**, 1980, 382-388.
5. В.Т.Соловьян, И.А.Костенюк, В.А.Кунах. Генетика, **23**, 7, 1200-1208.
6. M.E.John. NAR, **20**, 9, 1992, 23-81.
7. G.Fang, S.Hammar, R.A.Grument. Biofeedback, **13**, 1, 1992, 53-55.
8. I.A.Lipke, M.N.Strzempko, F.F.Raia, S.L.Simon, C.K.French. Appl. a. Environ Microbiol., **53**, 10, 1987, 2588-2589.
9. H.Junghans, M.Metzlaff. Biotechniques, **8**, 3, 1990, 176.
10. M.G.Murray, W.F.Thompson. Nucl. Acids. Res., **8**, 1980, 4321-4325.
11. S.L.Dellaporta, J.Wood, J.B.Hichrs. Plant Molec. Biol. Rep., **1**, 1983, 19-21.
12. J.W.Dale, P.Greenaway. Methods in Molecular Biology, **2**, Nuclein Acids/ED- J.M. Walker-Clifton New-Jersey: humana Press, 1984, 197-200.
13. O.Scott, S.Rogers, J.Arnold, A.Bendlich. Plant Mol. Biology, **5**, 1985, 69-76.
14. M.Shure, S.Wessler, N.Fedoroff. Cell, **35**, 1983, 225-233.
15. Т.Маниатис, Э.Фрич, Дж.Сембург. Молекулярное клонирование (методы генетической инженерии). М., 1984, 480 с.

მ.გობავა, მ.გომართელი

სოკო *Penicillium canescens* RTM-22 - ფერმენტ ქსილანაზის პროდუცენტი

(წარმოადგინა აკადემიკოსმა გ.კვეციტაძემ 30.06.1991)

ჰემიცელულოზა, ლიგნინსა და ცელულოზასთან ერთად, მცენარეული უჯრედის კედლის ძირითადი საშენი მასალაა. ქსილანით ყველაზე მდიდარი მცენარეების ჰემიცელულოზა უჯრედის მშრალი მასის 15-35% შეადგენს. ქსილანი ჰეტეროპოლისაქარიდია, რომლის ჩონჩხი 1,4 ბმით დაკავშირებული β-D ქსილოპირანოზული წვუსისაგან შედგება [1].

მცენარის ტიპის მიხედვით, ჩონჩხში შეიძლება იყოს ჩანაცვლებული α-L-არაბინოფურანოზული, 4-0-მეთილგლუკოროანოზული ან აცეტილური წვუსები. მიკროორგანიზმების დიდი უმეტესობა ერთდროულად წარმოქმნის ცელულოზის და ჰემიცელულოზის დამშლელ ფერმენტებს.

ჩვენი სამუშაო მიზნად ისახავდა მაღალი ქსილანაზური აქტივობის მქონე შტამების მიღებას, რომელსაც არ ექნებოდა ცელულაზური აქტივობა.

როგორც აღვნიშნეთ, ბუნებაში ცნობილია მაღალი ჰემიცელულაზური აქტივობის მქონე შტამები, მაგრამ ისინი, როგორც წესი, მაღალი ცელულაზური აქტივობითაც ხასიათდებიან, რადგან აღნიშნული ფერმენტები მცენარის სტრუქტურულ უხსნად პოლიმერებს გარდაქმნიან ხსნად მონომერებად და შეთანხმებულად მოქმედებენ. თანამედროვე შეხედულებებით ცელულაზისაგან თავისუფალი ქსილანაზური პრეპარატის გამოყენებით შესაძლებელია მერქანში არსებული ჰემიცელულოზის ფერმენტული ჰიდროლიზის გზით მივიღოთ მაღალი ხარისხის ქაღალდი.

მეორე მხრივ, მცენარეული ნედლეულის შერჩევითი ჰიდროლიზი საშუალებას იძლევა ცალ-ცალკე მივიღოთ ჰემიცელულოზისა და ცელულოზის ჰიდროლიზის პროდუქტები, ხოლო შემდეგ გამოვიყენოთ ისინი დანიშნულებისამებრ. რაც შეეხება ქსილანაზური პრეპარატიდან ცელულაზის შემდგომ მოცილებას მისი ინაქტივაციით, იონცვლადი ქრომატოგრაფიითა და სხვა მანიპულაციებით, ეს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად ზრდის ქსილანაზური პრეპარატის ღირებულებას. ფიზიკური მუტაგენის, კერძოდ, ულტრაიისფერი სხივების გამოყენებამ საშუალება მოგვცა მიკრომიცეტ *P.canescens*-20171-ის დასხივების შედეგად მიგვეღო მდიდარი სასელექციო მასალა (მოიცავს დაახლოებით 280 კულტურას), რომელიც ერთეული კოლონიებიდანაა გამოყოფილი და ხასიათდება როგორც შეცვლილი, ასევე შეუსვლელი მორფოლოგიური ნიშან-თვისებებით. დასხივების დოზა იცვლებოდა 3,5-1120 ჯ/მ². მიღებული შტამები ფერმენტ ქსილანაზის სინთეზის უნარისა და კულტურალურ-მორფოლოგიური ნიშან-თვისებების მიხედვით პირობითად დავყავით ოთხ ჯგუფად. პირველ ჯგუფში გავაერთიანეთ შეცვლილი კულტურალურ-მორფოლოგიური ნიშნებისა და ქსილანაზის გაზრდილი სინთეზის უნარის მქონე შტამები. ისინი მიღებულია 30-200 ჯ/მ² დოზით დასხივებისას - სულ 50 კულტურა, რაც საერთო რაოდენობის 19%-ს



შეადგენს. მეორე ჯგუფში გავერთიანეთ შეცვლილი კულტურალურ-მორფოლოგიური ნიშან-თვისებების მქონე შტამები, რომლებიც ქსილანაზის სინთეზის უნარიან არ განსხვავდებიან საწყისი შტამებისაგან. ეს კულტურები მიღებულია 260-400 ჯ/მ² დოზით დასხივებისას. მესამე ჯგუფში შევიდა შეცვლილი კულტურალურ-მორფოლოგიური ნიშან-თვისებების მქონე კულტურები, რომლებიც ხასიათდებიან ქსილანაზის 20-40%-ით დაქვეითებული სინთეზის უნარით (დასხივების დოზა 566-966 ჯ/მ²), ხოლო მეოთხე ჯგუფში გაერთიანებული კულტურები არც კულტურალურ-მორფოლოგიური ნიშნებით და არც ფერმენტ ქსილანაზის სინთეზის უნარით არ განსხვავდება საწყისი შტამებისაგან. ეს უკანასკნელი ჯგუფი ყველაზე მრავალრიცხოვანია - სულ 166 კულტურა, რაც საერთო რაოდენობის 64% შეადგენს [1].

ცხრილი 1

P. canescens-ის მუტანტური შტამების ქსილანაზური და ცელულაზური აქტივობები

შტამის ნომერი	ქსილანაზური აქტივობა		ცელულაზური აქტივობა ერთ/მლ	
	ერთ/მლ %		ფ.ქ.	მ.კ.ც.
№13 (3-30 წმ)	11	214	0,07	0,67
№63 (1-3 წმ)	8,5	142	0,005	0,04
№3 (3-10 წმ)	13	270	0,007	0,42
№10 (10-10 წმ)	16	357	0,075	0,6
№30 (9-30 წმ)	18	414	0,001	0,4
№27 (9-30 წმ)	17,5	400	0,0025	0,5
№33 (15-30 წმ)	16	357	0,0045	0,1
№45 (27-30 წმ)	10	210	0,015	0,15
№54 (16-1 წმ)	6,5	85	0,003	0,25
№55 (15-1 წმ)	18	414	0,014	0,6
№57 (11-1 წმ)	16	357	0,009	0,2
№59 (8-1 წმ)	7	100	0,0075	0,25
№62 (14-1 წმ)	13	270	0,005	0,3
№66 (5-20 წმ)	9	157	0,005	0,25
№70 (12-20 წმ)	17	385	0,003	0,7
№72 (8-20 წმ)	12	260	0,0045	0,36
№77 (17-30 წმ)	13,5	285	0,009	0,45
№80 (20-60 წმ)	12	260	0-0	0,05-0,07
№23 (4-30 წმ)	20	470	0,015	0,2
№20 (1-30 წმ)	14,5	314	0,018	0,35
№74 (15-30 წმ)	14	300	0,0045	0,45
№71 (10-20 წმ)	22	528	0-0	0,035
№9 (9-10 წმ)	12	350	0,008	0,12
№47 (25-30 წმ)	19	157	0,006	0,45
კონტროლი	3,5	-	-0,87	2,4

I ჯგუფში გაერთიანებული შტამების ქსილანაზური და ცელულაზური აქტივობების შესწავლამ გვიჩვენა, რომ მნიშვნელოვნად შემცირებული ცელულაზური აქტივობის ფონზე 24 კულტურას, რაც საერთო რაოდენობის 9% შეადგენს, დაახლოებით 50-დან 500%-მდე აქვთ გაზარდილი ქსილანაზური აქტივობა. როგორც 2 ცხრილში

მოყვანილი შედეგებიდან ჩანს, ჩვენთვის ყველაზე საინტერესო აღმოჩნდა მუცხუნა (10-20 წთ), რომელსაც მიენიჭა სახელწოდება *Penicillium canescens* RTM-22. შტამი არ არის ტოქსიკური და პათოგენური, გენეტიკურად სტაბილურია. მას თითქმის ნულოვანი ცელულაზური აქტივობის ფონზე 500%-ით აქვს გაზრდილი ქსილანაზური აქტივობა [4].

ცხრილი 2

ნახშირბადის წყაროს გავლენა *P. canescens* RTM-22-ის მიერ ეგზოგენური ქსილანაზის სინთეზის უნარზე

დანამატი	ქსილანაზური აქტივობა		ცელულაზური აქტივობა ერთ/მლ (მ.კ.ც.)
	ერთ/მლ	აქტივობის კლება (-) მატება (+) %	
გლუკოზა	15,5	-45	0,26
ლაქტოზა	14,5	-46	0,27
მანიტი	16	-44,5	0,24
რამნოზა	12	-66	0,2
სორბიტი	15	-45	0,19
მალტოზა	9,4	-65	0,25
მანოზა	4,8	-82	0,31
ფრუქტოზა	2,2	-92	0,18
დულციტი	0,96	-99,4	0,02
ინოზიტი	12	-56	0,3
ქსილანი	36	33	0,3
გალაქტოზა	3,6	-87	0,2
სიმინდის ქუჩეჩი	42	55	0,46
ალაო	37	-24	0,23
ნახერხი	9,6	-64	0,51
ვაზის წარჩენი	12	-56	0,57
ციტრუსის წარჩენი	20	7	0,17
ჩაის წარჩენი	77	-72	0,16
სიმინდის ექსტრაქტი			
0,5 %	31	15	0,35
1%	22	-17	0,27
3%	14	-47	0,2
კონტროლი	27	0	0,12

როგორც ცნობილია, ორგანიზმის ბიოსინთეზური უნარის გაზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზას კონკრეტული მეტაბოლიტის მიმართ ისე, რომ არ შეიცვალოს მისი გენეტიკური აპარატი, წარმოადგენს კულტივირებისათვის ოპტიმალური პირობების შერჩევა.

დავადგინეთ, რომ მუტაგენურ შტამ *P. canescens* RTM-22-ის კულტივირების ოპტიმალური ტემპერატურა არის 28⁰, pH4,2-4,4; ფერმენტ ქსილანაზის მაქსიმალური რაოდენობა სინთეზირდება 70 სთ-ისთვის.



საკვები არის ოპტიმიზაციის მიზნით არეში დანამატის სახით შეგვქონდა დასხვა ნახშირწყალი და ნახშირწყალით მდიდარი ნარჩენი: ალას ლივები, ჩაისა და ლენის წარმოების ნარჩენები, სიმინდის ქუჩი და სხვა. ყველა ეს ნივთიერება ემატებოდა საკვებ არეს 1%-ის ოდენობით. შედეგები მოყვანილია 3 ცხრილში.

ცხრილი 3

აზოტის წყარო	აქტივობა		
	ქსილანაზური		ცელულაზური (მ.კ.ც.) ერთ/მლ
	ერთ/მლ	კლება (-) მატება (+) %	
NaNO ₃	40	60	0,25
KNO ₃	11,8	-53	0,03
Ca(NO ₃) ₂	21,8	-3	0,1
NH ₄ NO ₃	12,5	-50	0,06
პეპტონი 0,25 %	37	48	0,2
შარდოვანა	0,13	-95	0
ზრდის ფაქტორი 0,1 %	26,5	12	0,45
0,3 %	28	12	0,5
0,5%	37,5	50	0,7
კონტროლი	25	0	0,12

სიმინდის ქუჩის დამატებამ საშუალება მოგვცა არა მხოლოდ 50-55%-ით გაგვეზარდა სინთეზირებული ფერმენტის რაოდენობა, არამედ 30-40%-ით შეგვემცირებინა არეში შესატანი სოიის ფქვილი, რასაც ეკონომიური თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს.

შევისწავლეთ აზოტის წყაროების ზეგავლენა *P. canescens* RTM-22-ის მიერ ფერმენტ ქსილანაზის სინთეზის უნარზე. აზოტის მინერალური წყაროებიდან ვიყენებდით: NaNO₃, KNO₃, NH₄NO₃ აღნიშნული მარილების კონცენტრაცია არეში აზოტის მიმართ 0,04%-ის ტოლი იყო.

ორგანული აზოტი გამოვცადეთ პეპტონის, საფუვრის ექსტრაქტის, შარდოვანას და ზრდის ფაქტორის სახით LBE (inagrossa). 3 ცხრილში მოყვანილი შედეგებიდან ჩანს, რომ მინერალური წყაროებიდან ყველაზე ეფექტურია NaNO₃-ის გამოყენება, მისი შეტანა არეში 0,24%-ის ოდენობით 50-60%-ით ზრდის სინთეზირებული ფერმენტის რაოდენობას. ასევე მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა ზრდის ფაქტორისა და პეპტონის გამოყენებამ. გამოვცადეთ ვიტამინების კომპლექსი (ბიოტინი, რიბოფლავინი, ნიკოტინის მჟავა, პანტოთინის მჟავა, B₁₂, B₁₆). საკვებ არეში მისმა დამატებამ 0,1%-ის ოდენობით 40-50%-ით გაზარდა ფერმენტის აქტივობა.

ჩატარებულმა სამუშაომ საშუალება მოგვცა მიგველო მუტანტური შტამი *P. canescens* RTM-22 და მისი სიღრმითი კულტივირებისათვის შეგვერჩია შემდეგი საკვები არე (გ/ლ) NaNO₃-2,4; KCl-0,5; MgSO₄ - 0,15; Na₂HPO₄·12H₂O - 15,0; სოიის ფქვილი - 20; სიმინდის ნარჩენი - 10.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ს.დურმიშიძის სახ. მკვლარეთა ბიოქიმიის
ინსტიტუტი

(შემოვიდა 26.10.1993)

M. A. Dzjobava, M. M. Gomarteli

***Penicillium canescens* RTM-22 - პროდუცენტ კსილანაზი**

Р е з ю м е

Путем облучения УФ-светом микромицета *Penicillium canescens* (штамм 20171) получен мутант *P. canescens* RTM-22 - активный продуцент внеклеточной ксиланазы с повышенным уровнем биосинтеза указанного фермента на 500% по сравнению с исходным штаммом. Мутант оказался стабильным и в течение 3-летнего наблюдения полностью сохранил способность продуцировать ксиланазу в повышенном количестве. Подобраны условия для культивирования продуцента ксиланазы *P. canescens* RTM-22.

BIOCHEMISTRY

M. Jobava, M. Gomarteli

***Penicillium Canescens* RTM-22 Producer of Xylanase**

S u m m a r y

Penicillium canescens mutant RTM-22 an active producent of extracellular xylanase was obtained by UV-irradiation of *Penicillium canescens* sopp 20171. The biosynthetic activity of the mutant is higher by 500% than that of parent strain. The mutant is stable, it retained the ability to produce increased amounts of xylanase after 3-year storage. Condition for producent cultivation has been chosen.

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. *A. Lappalainen*. Cellulotic and Xylanolytic Enzymes of *Trichoderma Reesei*. Espoo, November, 1988.
2. *K. Poutanen*. Characterization of Xylanolytic Enzymes for Potential Applications. Espoo, April, 1988.
3. *И.М. Пидопличко*. Пенициллин (ключ к определению видов). Киев. 1972.
4. *E. T. Lomkatsi, T. Sh. Radiani, A. T. Shkolni et al.* Acta Biotechnol., v.10, N 4, 363-367, 1990.

ნ.ამაშუკელი, თ.ხაჩიძე, ა.ბერუღაია, მ.ქაბახიძე, ო.ხაჩიძე


პეპტიდები ხორბლის, ქერის და შვრიის მარცვალში

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ნ.ამაშუკემ 5.10.1994)

მცენარეებში ცილებსა და სხვა აზოტოვან ნივთიერებებთან ერთად გვხვდება პეპტიდები, რომლებიც წარმოდგენილია როგორც თავისუფალი სახით, ისე სხვა ნაერთებთან კომპლექსში. ისინი აღმოჩენილია მცენარის სხვადასხვა ორგანოებში, კერძოდ თესლში [1-3], ფოთლებსა და ფესვებში [4,5]. ნაჩვენებია, რომ ვაზის სხვადასხვა ორგანოში არსებული პეპტიდები განირჩევიან როგორც ამინომჟავური შემადგენლობით, ისე მათი წარმოქმნის გზებით [6,7].

ჩვენ მიერ ხორბლის, ქერის და შვრიის მარცვლებიდან გამოყოფილ იქნა პეპტიდების პრეპარატები და შესწავლილია მათი ამინომჟავური შედგენილობა.

ცდებისათვის გამოყენებულ იქნა: საქართველოს ენდემური ხორბალი T.Timopheevi, საგანაფხულო ქერი - Nutans 32-28 და შვრია A.Sativa.



სურ. ხორბლის, ქერის და შვრიის მარცვლის პეპტიდების ჯამური ფრაქციების ქრომატოგრაფია

- 1- ხორბლის პეპტიდები,
- 2- ქერის პეპტიდები,
- 3- შვრიის პეპტიდები.

ბუნარი დაეწევა ქრომატოგრაფიული ქაღალდის მთელ ზოლზე. ჩატარდა აღმავალი ქრომატოგრაფირება გამხსნელში - ნ-ბუთილის სპირტი / ძმარმჟავა / წყალი (40/15/5). კარგად დაყოფის მიზნით ქრომატოგრაფიაზე გამხსნელი გატარდა 4-ჯერ. ამოიჭრა 2 სმ სივანის ზოლი და გამკლავნდა ნიპიდრინის 2%-იანი ხსნარით (2 გ. ნიპიდრინი - 95 მლ აცეტონი - 1 მლ ძმარმჟავა - 4 მლ წყალი).

პეპტიდების ჯამური ფრაქციის მისაღებად მარცვლი დაიფქვა და წინასწარ დამუშავდა გოგირდის ეთერით ცხიმის მოსაცილებლად. ცხიმმოცილებულ ფქვილს გაუკეთდა ოთხჯერადი ექსტრაქცია 70%-იანი სპირტით ოთახის ტემპერატურაზე. ექსტრაქტები შეერთდა და ცენტრიფუგირების შემდეგ სპირტი მოცილდა როტაციულ ამორთქლებელზე. ამ პროცედურის შედეგად გამოილევა მარცვლის ცილების სპირტში ხსნადი (პროლაინების) ფრაქცია. ნალექი მოცილდა ცენტრიფუგირებით და სუპერნატანტიდან პეპტიდების ფრაქცია დაილევა ორმაგი მოცულობის აცეტონის დამატებით [1]. ნალექი კვლავ შეგროვდა ცენტრიფუგირებით, დამუშავდა როდინში აცეტონით სუფთა ფხვნილის მიღებამდე. საბოლოოდ ნალექს აცეტონი მოცილდა დეკანტაციით და გაშრა ოთახის ტემპერატურაზე. მიღებული პეპტიდების თეთრი ფხვნილი გაიხსნა მცირე მოცულობის 70%-იან სპირტში და ჩატარდა ქრომატოგრაფირება პრეპარატულ ქრომატოგრაფიულ ქაღალდზე - FN-8, რისთვისაც პეპტიდების

ხორბლის ჭერის და შერის მარცვლის პეპტიდების ამინომჟავური შედგენილობა (% ჰიდროლიზატში)



ეროვნული
ცენტრი
საფრინობისა და
საფრინობის
კონტროლის
სამსახური

№	ამინომჟავები	პეპტიდების კომპოზიციის შემადგენელი													
		ხორბალი					ჭერი					შერის მარცვი			
		027	042	055	007	085	007	015	035	045	065	007	015	030	065
1.	გლუტამინის მჟავა	33.5	29.6	27.3	26.0	21.0	33.3	33.8	33.3	36.3	34.3	27.6	22.3	28.3	32.0
2.	ასპარაგინის მჟავა	10.3	10.2	11.4	13.0	13.3	5.2	3.8	4.1	3.1	3.7	10.4	37.2	8.8	15.8
3.	ტრეონინი	3.3	4.5	5.6	5.2	3.6	1.2	1.5	1.7	1.1	1.2	1.4	2.6	-	-
4.	სერინი	4.4	5.4	6.6	6.7	5.2	2.7	2.4	2.8	2.3	2.7	1.8	4.7	9.1	7.7
5.	პროლინი	13.2	6.6	-	11.1	-	23.6	27.7	30.5	33.4	30.1	33.5	19.7	30.5	34.3
6.	გლიცინი	6.4	5.6	7.8	7.2	8.5	2.1	1.4	1.7	1.9	2.1	-	-	-	-
7.	ალანინი	3.5	5.9	7.4	5.8	4.9	2.5	1.2	2.5	2.4	2.8	7.5	13.1	23.2	10.3
8.	ვალონი	1.4	3.0	3.0	3.4	3.3	1.6	1.4	1.5	1.3	1.7	-	-	-	-
9.	მეთიონინი	1.2	1.1	-	5.1	1.8	0.7	0.2	0.7	0.1	0.6	-	-	-	-
10.	იზოლუცილი	-	1.7	6.7	1.7	2.0	1.3	1.2	0.1	1.3	1.4	3.8			
11.	ლეიცილი	2.4	5.5	5.2	7.0	7.8	4.8	4.6	5.0	5.0	5.1	13.7			
12.	ტიროზინი	4.0	7.8	3.7	1.7	11.5	5.2	4.0	4.2	1.7	4.9				
13.	ფენილალანინი	3.2	4.0	3.5	8.6	3.7	5.4	5.5	5.6	5.6	5.4				
14.	ჰისტიდინი	4.2	3.2	4.2	2.7	5.1	2.6	1.4	1.9	1.5	1.9				
15.	ლიზინი	1.1	1.8	2.1	1.4	1.8	1.0	0.7	0.7	0.4	0.4				
16.	არგინინი	8.7	4.5	5.5	5.5	6.2	2.8	0.4	2.4	2.2	2.1				

- აღნიშნული ამინომჟავები არ დეტექტირდება.

ხორბლის პეპტიდების ქრომატოგრაფიაზე გამოქვამდა 7, ქერის პეპტიდების ქრომატოგრაფიაზე - 6 და შვრიის პეპტიდების ქრომატოგრაფიაზე - 4 პეპტიდი (სურ.).

პეპტიდების ლაქების შესაბამისი ადგილები ამოიკრა ქრომატოგრაფიიდან, გაუკეთდა ელუსტია 70%-იანი სპირტით, შემდგომ აორთქლდა როტაციულ ამორთქლებელზე მცირე მოცულობამდე და პრეპარატები გაშრა ლიოფილურად.

მიღებული პეპტიდების პრეპარატებს გაუკეთდა ჰიდროლიზი 6 N HCl-ით შეღობილ ამპულაში 24 საათის განმავლობაში 110°-ზე. HCl მოცილდა მრავალჯერადი აორთქლებით ფაიფურის თასებზე წყლის აბაზანაზე და ამინომჟავური შედგენილობა განისაზღვრა ავტომატურ ანალიზატორზე T-339 (ფირმა "Microtechna", ჩეხოსლოვაკია).

ცხრილში წარმოდგენილია ცალკეული პეპტიდების ამინომჟავური შედგენილობა. როგორც ჩანს, ხორბლის და ქერის პეპტიდები პოლიპეპტიდური ბუნებისაა. ისინი შეიცავენ ყველა ცილურ ამინომჟავას, ამგვარად, ისინი ცილის საკმაოდ დიდ ფრაგმენტებს წარმოადგენენ, რომლებიც იხსნებიან 70%-იან სპირტში (როგორც ზემოთ არის აღნიშნული, სპირტში ხსნადი ცილები - პროლაமிნები წინასწარ იყო მოცილებული). შვრიის პეპტიდების ჰიდროლიზატში 5-7-ზე მეტი ამინომჟავა არ აღმოჩნდა (ცხრილი). ხორბლის და ქერის პეპტიდებთან შედარებით შვრიის პეპტიდები გაცილებით მარტივი შედგენილობისაა.

ხორბლის პეპტიდები განსაკუთრებით გამოირჩევა გლუტამინის მჟავას მაღალი შემცველობით (21-33%). მაღალია აგრეთვე ასპარაგინის მჟავას შემცველობაც (10-13%). პროლინი ხორბლის მარცვლის ყველა პეპტიდში არ აღმოჩნდა. შედარებით დაბალი პროცენტული შემცველობით გამოირჩევა მეთიონინი, ლიზინი, იზოლეიცინი. ცალკეული ამინომჟავების შემცველობის მხრივ ზოგიერთი პეპტიდი საკმაოდ განირჩევა ერთმანეთისაგან.

ქერის პეპტიდებში ყველაზე დიდი რაოდენობით გვხვდება გლუტამინის მჟავა და პროლინი (ეს უკანასკნელი ქერის ყველა პეპტიდში აღმოჩნდა). დაბალია ლიზინის, მეთიონინის, იზოლეიცინის, ჰისტიდინის, გლიცინის, ტრეონინის შემცველობა, ხორბლის პეპტიდებთან შედარებით ქერის პეპტიდებში დაბალია ასპარაგინის მჟავას შემცველობა.

შვრიის პეპტიდებიც გამოირჩევა გლუტამინის მჟავას და პროლინის მაღალი შემცველობით. ტრეონინი, ლეიცინი და იზოლეიცინი 4-დან მხოლოდ ორი პეპტიდის შედგენილობაში აღმოჩნდა. შვრიის პეპტიდები ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავდებიან ასპარაგინის მჟავას, სერინის და ალანინის პროცენტული შემცველობით.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
 ს.დურშიშიძის სახელობის მეცნიერებათა ბიოქიმიის ინსტიტუტი

(შემოვიდა 6.10.1994)

БИОХИМИЯ

Н.В.Амашукели, Т.О.Хачидзе, А.Х.Берулава, М.Г.Кабзинадзе, О.Т.Хачидзе

Пептиды в зерне ячменя, пшеницы и овса

Резюме

Из зерна ячменя, пшеницы и овса были выделены и очищены пептиды, растворимые в 70 % этиловом спирте (фракции пептидов),

